

ლექსიკონი

ანდერძი – 1. ხელნაწერი წიგნის ანდერძი არის მინაწერი, რომელიც დართული აქვს ძირითად ტექსტს არეებში. მასში აღნიშნულია ხელნაწერის გადამწერის, შემკვეთელის, ზოგჯერ ავტორის ვინაობა, გადაწერის ადგილი, დრო, გადაწერის მიზანი, საწერი მასალა და სხვა. ანდერძებს, საყურადღებო ცნობების შემცველობიდან გამომდინარე წყაროს მნიშვნელობა ენიჭება; 2. ანდერძს უწოდებენ ასევე სახარებიდან ვნების კვირის პირველ საკითხავს, რომელიც შეიცავს იესო ქრისტეს გამოსამშვიდებელ საუბარს თვის მოწაფეებთან; 3. იურიდიული ძალის დოკუმენტი, რომელიც პიროვნების გარდაცვალების შემდეგ მისი ქონების მემკვიდრეობითობას განსაზღვრავს.

აპოკრიფი – სიტყვა აპოკრიფი ბერძნულია და დაფარულს, საიდუმლოს ნიშნავს. ეს არის ისეთი ადრექრისტიანული ლიტურგიკული ძეგლი, რომელიც საეკლესიო კანონიკაში არ შესულა. ტერმინად იგი პირველად IV ს-ში რომის პაპის დეკრეტშია მოხსენიებული. გამოყოფენ ძველი და ახალი აღთქმის აპოკრიფებს. ჩვენამდე მოღწეულია ბერძნული, სირიული, სომხური, სლავური და სხვა ენებიდან თარგმნილმა აპოკრიფულმა ლიტერატურამ. ქართული ბიბლიის ხელნაწერ კრებულებში დაცულია ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების უძველესი X ს-მდე შესრულებული თარგმანები. ქართულად არსებობს აპოკრიფების საგანგებო კრებული “მარგალიტი”. ზოგიერთი აპოკრიფი მხოლოდ ქართულად თარგმნილია მოღწეული, მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემონახული სრული სახით ტობის წიგნის ერთ-ერთი რედაქცია.

აპრაკოსი (ბერძნ.) – ასე იწოდება განსაკუთრებული რიგით შედგენილი სახარება და სამოციქულო, რომლებშიც ტექსტი ჩვეულებრივი თანმიმდევრობით, ავტორების მიხედვით კი არ არის დალაგებული, როგორც ოთხთავებსა და ეპისტოლეებშია, არამედ კვირების მიხედვით, როგორც ხდებოდა მათი წაკითხვა საზოგადო ღვთისმსახურების დროს, დაწყებული აღთქმის პირველი დღით (იოანეს სახარება, I თავი) მთელი წლის მანძილზე. ძველი ქართული ტერმინოლოგიით აპრაკოსს „საკითხავი“ შეესატყვისება.

ეპიტაფია, სამგლოვიარო სიტყვა – ეპიტაპჰიოს, ტაფიოს – საფლავი. ძველ საბერძნეთში ეპიტაფიას საფლავზე წარმოთქმულ სიტყვას

უწოდებდნენ, მოგვიანებით კი საფლავის ქვაზე გაკეთებულ წარწერას შემორჩა ეს სახელი. ეპიტაფია ზოგჯერ მიცვალებულის მოსაგონარი ლექსის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც ისტორიული პირის ან თვით ავტორის ცხოვრებას, ხვედრს, ღვაწლს ასახავს. ხშირად ეპიტაფია სატირული ხასიათისაა.

ეგზეგეტიკა - ბერძნ ეხეგეტიკა. 1) მოძღვრება ეგზეგეტიკის შესახებ; 2) ქრისტიანული მწერლობის დარგი, ბიბლიურ ტექსტთა ახსნა, თარგმანება.

ეგზეგეტიკა ქართული სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი დარგია. მისი განვითარება განაპირობებდა ქრისტიანული რელიგიის არსისა და ქრისტიანული ზნეობის საფუძვლიანად ათვისებას. ქართული ეგზეგეტიკის უძველეს ნიმუშად მიიჩნევა „ეესტათი მცხეთელის მარტვილობაში“ ჩართული სამოელ არქიდიაკონის თარგმანება საღვთო წერილისა. ეგზეგეტიკური მწერლობის ძეგლთა ადრეული თარგმანები დაცულია შატბერდის კრებულში (შ -1141).

ეგზეგეტიკური მწერლობის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს, ასევე ეფრემ მცირეს.

XII ს-იდან საქართველოში ეგზეგეტიკის შემდგომი განვითარება შეფერხდა. მოგვიანებით, XVIII საუკუნეში ანტონ I-მა დაწერა 50-ე ფსალმუნის თარგმანება, ხოლო XIX საუკუნის I მეოთხედში იონა ხელაშვილს უთარგმნია ძველი აღთქმის განმარტება, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ეტრატი – სპეციალურად დამუშავებული ცხვრის, თხის და ხბოს ტყავი, რომელსაც იყენებდნენ საწერ მასალად. ბერძენი ისტორიოგრაფის, პლატონიუსის ცნობით, პირველად ეტრატი ძვ. წ. II საუკუნეში გამოუყენებიათ ქ. პერგამოსში (მც. აზია, დღევანდელი ბერგამი), რომელიც ქ. წ. XII საუკუნეში დაუარსებიათ ბერძნებს. ამიტომ ეტრატს სხვადასხვა ენებზე პერგამენტს უწოდებენ.

სტორიული მონაცემებით, ძველ აღმოსავლეთში ეტრატი უფრო ადრეც იყო ცნობილი. ეტრატის შექმნამ ხელი შეუწყო მწიგნობრობის სწრაფ განვითარებას. შესაძლებელი გახდა უფრო სწრაფად და ლამაზად წერა, საწერად გამოსადეგი იყო ფურცლის ორივე მხარე, შეიძლებოდა ნაწერის მხატვრულად გაფორმებაც. ძველ საქართველოში ეტრატი ადრე ყოფილა ცნობილი. ეტრატზეა ნაწერი უძველესი ქართული ხელნაწერები: VI-VII სს. პალიმფსესტები, ხანმეტი ლექციონარები (VII ს.) და თითქმის ყველა ხელნაწერი X-XI სს-მდე, ე. ი. ქალაქის შემოღებამდე. ქალაქის

გაჩენის შემდეგაც ბევრი ხელნაწერი ეტრატზე იწერებოდა, რადგან ეტრატი ქალაქზე გამძლე მასალაა.

ეტრატზე დაწერილი ცალკეული ფურცლები წიგნებად იკინებოდა.

ზატიკი – 1) აღდგომის დღესასწაული, აგრეთვე სააღდგომო საგალობელთა კრებული, დიდი მარხვის საგალობლების – მარხვანის – გაგრძელება. ლიტურგიკაში ტერმინი „ზატიკი“ დამკვიდრდა XI საუკუნიდან. მანამდე „მარხვანი“ და „ზატიკი“ გაერთიანებული იყო ერთ წიგნში, რომელსაც „ხვედრნი“ ეწოდებოდა. კ. კეკელიძის აზრით, ტერმინი „ზატიკი“ წარმოდგება „აზატისაგან“, რაც ნიშნავს „თავისუფალ“ დღეს, ე. ი. დღესასწაულს; 2) ებრაელების ეგვიპტიდან გათავისუფლების მოგონებასთან დაკავშირებული დღესასწაული.

იამბიკონი/იამბიკო – ძველი ბერძნული პოეზიის სალექსო ზომა, რომელიც ეყრდნობა ორმარცვლიან ტერფთა ანუ „იამბთა“ გარკვეულ რაოდენობას; ბერძნულის გავლენით აღმოცენებული ქართული ქორეული (იხ. ხორე). იამბიკო 60 მარცვლიანია, შედგება 5 თორმეტმარცვლიანი ტაეპისაგან.

ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში იამბიკო X საუკუნიდან გვხვდება იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, მიქაელ მოდრეკილის, ეზრასა და სხვათა შემოქმედებაში. ქართული იამბიკოსათვის დამახასიათებელია კიდურწერილობა. XI საუკუნიდან ქართულ იამბიკოში ჩნდება რითმა (ბერენას, დემეტრე I-ის საგალობლები). იამბიკური 12 მარცვლიანი ტაეპი გახლეჩილია ორ არათანაბარ (5 და 7 მარცვალი) ნაწილად. იამბიკოს შესანიშნავი ნიმუშია მეფე დემეტრეს (1125-1159) ცნობილი საგალობლის („შენ ხარ ვენახი“) ბოლო ხუთტაეპიანი სტროფი.

იამბიკო როგორც ლიტურგიკული კანონი, გაყოფილია რვა „გალობად“. თითოეულ „გალობაში“ არის ოთხი სტროფი, ხოლო სტროფი ზოგჯერ ხუთზე მეტ ტაეპს შეიცავს (იმის მიხედვით თუ რმდენი ასოა იამბიკოს აკროსტიქში).

კალამი – საწერი იარაღის უძველესი ქართული სახელწოდება. პირველად იხსენიება ესაია წინასწარმეტყველის წიგნში. „კალამი“ X საუკუნიდან დასტურდება და ამავე დროიდან ხდება საწერი იარაღის აღმნიშვნელად გაბატონებული ტერმინი. არსებობდა „კალამი რკინისა“, „კალამნი ფოლადისანი“. ასოთა განსაკუთრებული „დანაკუჭთება“ ესაჭიროებოდა ხუცურ და მხედრულ ასოებს. ხუცური ასოების გამოსაყვანად გადამწერს უნდა ეხმარა ხუცურის კალამი, თავისი კალამი ესაჭიროებოდა მხედრულსაც. კალამს საკალმეში ინახავდნენ. მის გამოჭრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ არაბი და სპარსი

კალიგრაფები. მათ მიერ შემუშავებული წერის 6 სტილი სრულიად სხვადასხვაგვარად გამოჭრილ კალმებს მოითხოვდა.

პაგინაცია – ლათ. პაგინა – გვერდი (წიგნის); ნაბეჭდი გამოცემების გვერდების რიგითი ნუმერაცია. გვერდების ნომრების აღსანიშნავად ხმარობენ კოლონციფრებს (გვერდის ზემო ან ქვემო ნაწილში). პაგინაცია ჰქვია აგრეთვე ნაბეჭდი ნაწარმოების გვერდების რაოდენობას (ცალკე ჩადებული გვერდების, რუკების, დამატებების ჩათვლით).

პარაკლიტონი – 8 ხმაზე გაწყობილი სადა დღეების (ორშაბათი-შაბათი) საგალობელთა კრებული. ეს საგალობლები ბერძნულიდან ქართულად X საუკუნეში უნდა იყოს თარგმნილი, XI საუკუნის დასაწყისში კი პარაკლიტონის კრებულებიც ჩამოყალიბდა. ცნობილია პარაკლიტონის ორი ძველი რედაქცია: იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მაშენებლის გიორგი პროხორესი და გიორგი მთაწმინდელისა. ორივე რედაქცია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. ქართულში, ბერძნულის მსგავსად, კვირეულის საგალობლები ორ ნაწილად იყო გაყოფილი, თუმცა, ბერძნულისაგან განსხვავებით, პირველ წიგნში მოთავსებული იყო ოთხი ძირითადი (ავთენტური) ხმის მასალა, მეორეში კი – დამხმარე (პლაგალური) ხმებისა. ორივე წიგნი გაერთიანებული იყო და მას ერთი სახელი – პარაკლიტონი ერქვა. ამ ტიპის საგალობელთა კრებული სინური წარმომავლობის ქართულ ხელნაწერთა ანდერძებში ოქტიოხოსის სახელითაა მოხსენიებული (დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).

XVIII საუკუნეში ანტონ კათალიკოსმა გიორგი მთაწმინდელისეული პარაკლიტონი შეასწორა იმდროინდელ ბერძნულ-სლავურ პარაკლიტონთა მიხედვით და მისი ახალი, მესამე რედაქცია შექმნა.

ჟამნი – ლიტურგიკული ძეგლი, რომელიც შეიცავს უცვლელ მასალას, დანიშნულს ყოველდღიური საეკლესიო ღვთისმსახურებისათვის სხვადასხვა ჟამს, ანუ საათს. ამის მიხედვით არის ჟამნი შუადამისა, ცისკრისა, პირველი მზისა, მესამე (სამჟამისა), მეექვსე (მეექვსის ჟამისა), სადილისა, ცხრაჟამისა, მწუხრისა, მცირე სერობისა. ჟამნს ერთვის ხოლმე სასულიერო ხასიათის სხვა ძეგლებიც. VI საუკუნეში მისი არსებობა ქართულ ლიტურგიკულ წყაროებში უკვე დასტურდება. X საუკუნის დასასრულამდე ჟამნი აღმოსავლური რედაქციისა უნდა ყოფილიყო, რადგან ქართული ეკლესია ამ დრომდე დაკავშირებული იყო პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკასთან. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა ქართული საღვთისმეტყველო წიგნები, მათ შორის ჟამნიც ბერძნულ

დედნებთან შეაჯერეს და ხელახლა თარგმნეს. საბოლოოდ დამკვიდრდა ჟამნის გიორგი მთაწმინდელისეული რედაქცია, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე მხოლოდ მცირეოდენი ცვლილება განიცადა. ქართული ჟამნი პირველად დაიბეჭდა 1710 წ. თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში.

ტვიფრა – ტყავის, ფურცლოვანი ლითონის, ხავერდისა და ზოგიერთი სხვა მასალის მხატვრული დამუშავება, მათ ზედაპირზე რელიეფური გამოსახულების მისაღებად.

ტიპიკონი – ბერძნ. ტიპიკონ – ქრისტიანული ღვთისმსახურების გარკვეული და სავალდებულო წესის შემცველი ლიტურგიკული წიგნი. ცნობილია ორი სახის ტიპიკონი (წესი): სამრევლო და სამონასტრო. თავის მხრივ, საქართველოში მოქმედებდა ორნაირი სამრევლო წესი: იერუსალიმის ანუ ქრისტეს საფლავისა და კონსტანტინოპოლის წმიდა სოფიოს ტაძრის ანუ დიდი ეკლესიისა. ტიპიკონი ესაა მღვდელთმსახურთა სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს ღვთისმსახურების შესრულების წესებსა და მითითებებს უძრავ და მოძრავ დღესასწაულთა განგებების შეთანხმების შესახებ; აგრეთვე დისციპლინარული წესები მონაზონთათვის და ა. შ. მას ბოლოში დართული აქვს პასქალური ცხრილები.

სამონასტრო წესდებებიდან აღსანიშნავია სამი: საბაწმინდის (პალესტინაში), სტუდიტეს მონასტრის (კონსტანტინოპოლში) და ათანასე დიდის ლავრისა (ათონის მთაზე).

ცნობილია ასევე ე. წ. ქტიტორული ტიპიკონები, რომელთაც ქტიტორები განუწესებდნენ მათ მიერ აშენებულ მონასტრებს. წყაროებში დასახელებულია ილარიონ ქართველის, გრიგოლ სამთავნელის, ექვთიმე მთაწმინდელის, გრიგოლ ბაკურიანისძისა და სხვა ქტიტორული ტიპიკონები.